წლიწადი მეშვიდე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა

# თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

პარიზი
იანვარი-თებერვალი 1932 წელი
№ 48-49

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»
Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris XVII
რედაქტორი მ. წერეთელი.

Paris
Janvier-Février 1932
No 48-49

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 2951 N 13868

## «პროლეტარებო ყველა ქვეყნის შეერთდით»!

ასეთი წარწერით გამოვიდა დეკემბრის ნომერი საქართ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „ბრძოლის ხმის“ და ზედ მოყოლებულია მოწინავე წერილის ახსნა-განმარტება, რომ ასეთის წარწერით გამოშვება ჟურნალისა სავალდებულო ჰყო საქართველოთგან სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

სრულებით გასაკვირველი არ არის, რომ იქ, საქართველოში, სადაც ჰაერი გაჟღენთილია მარქსიზმ-ლენინიზმით და მეცნიერებაც-კი მარქსის ყაიდაზედ არის ჩამოსხმული, ასეთი სულის კვეთება იყოს. იქ უთუოდ ჰგონიათ, რომ, რაც კი რომ იწერება და იბეჭდება დედამიწის ზურგზედ, ყველაფერი ასეთის წარწერით გამოდის, ისე როგორც ჰგონიათ, რომ მთელს მსოფლიოში, დღეს თუ არა, ხვალ მოხდება სოციალური რევოლუცია და დამყარდება კომუნიზმი ყოველგან. მაგრამ აქ, ევროპაში დიდი ხანია რაც სოც.-დემოკრატიულ ორგანოზედ არ გვინახავს ასეთი წარწერა და ეს მოვლენა ახალია, უკეთ რომ ვსთქვათ მივიწყებულის განახლებაა და უნდა ჩაითვალოს ახალ ნაბიჯად.

ხოლო საით არის გადადგმული ეს ნაბიჯი? წინ თუ უკან, 1905 წლის პოზიციისაკენ, „ტაქტიკისაკენ“?—არც წინ, არც უკან, არამედ პირდაპირ მესამე ინტერნაციონალისაკენ. საყურადღებოა, რომ თუმცა საფრანგეთში ნაირ-ნაირი სოციალისტური ჟურნალები გამოდის, მაგრამ „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ აწერია მხოლოდ ფრანგულ ბოლშევიკ—კომუნისტურ „ჰუმანიტეს“ და ქართულ სოც.-დემ. „ბრძოლის ხმას“. ამ ორი სულიერად და ხორციელად მონათესავე პარტიის დევიზია საერთო და განუშორებელი. არც საკვირველია, რადგან ბოლშევიზმი და მენშევიზმი ერთის ძირისა და წარმოშობისაა, მარქსის შვილი, ორი ძმა, იდეოლოგიით და ფსიქოლოგიით ერთის შინაარსისა; თუმცა აიშალენ, წაიჩხუბენ და ურთიერთს მოსაკლავადაც არ ზოგავენ, მაგრამ ასეთი რამე ამ რჯულის ადამიანებისათვის ჩვეულებრივი ტერორია და მას ბრძოლას ეძახიან. ცოტა რამე სამდურავი მოყვარეთა წესიაო ნათქვამია. ვინ იცის, დიდ ხანს გასტანს თუ არა ძმათა უკმაყოფილება და უთანხმოება? დღეს მეორე ინტერნაციონალის მრევლი ძლიერ შემცირდა. ამას არც თვით „ბრძოლის ხმა“ მალავს (იხ. ბრძოლის ხმა N20 უცხოეთის პოლიტიკური მიმოხილვა. კ. გ.). ახალი ძალა წამოიჭრა მსოფლიოში და მთელი რიგი სახელმწიფოთა შორდება სოციალისტურ ინტერნაციონალებს: ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ავსტრიაში და სხვაგან მეორე ინტერნაციონალი ძლიერ დასუსტდა, ხოლო მესამეს ბურჯი, სული და გული რუსეთია, და აი ამ ინტერნაციონალებს ემუქრება ახლი ძალა.

მეორე ინტერნაციონალის ყრილობათა მიერ გამოტანილ რეზოლუციებში ნათლად და გარკვეულად იყო გამოთქმული აზრი მესამე ინტერნაციონალისათვის ხელის შეწყობაზედ, რათა ეს კერა მსოფლიო რევოლუციისა არ ჩაქრესო, და კ. გ. „ბრძოლის ხმის“ მე-20 ნომერში დასტირის რუსეთის მოსალოდნელ დამარცხებას: «როგორ შეხვდებოდა გამარჯვებული რეაქცია საბჭოთა რუსეთს? ჯერ ფაშისტები დაანგრევენ და გაანადგურებენ ევროპის დემოკრატიულ, სოციალ-დემოკრატიულ და კომუნისტურ ორგანიზაციებს. შემდეგ-კი ევროპის დიქტატორები შეერთებული ძალებით კარზედ მიადგებოდენ საბჭოთა რუსეთის დიქტატურას და სამარცხვინოდ წამოაჩოქებდენ მას»... ამაში კ. გ. ბრალს ბოლშევიკებს სდებს.

სრულიად ბუნებრივია ადამიანისათვის, რომლის იდეალი და მთავარი მიზანი საერთაშორისო პროლეტარიატის დიქტატურაა და სოციალიზმი, რომ იგი სწუხდეს რუსეთის დამარცხებაზედ, «კერის ჩაქრობაზედ», რუსეთის წამოჩოქებაზედ და დაყოფაზედ, მაგრამ ყოვლად უეჭველია, რომ ასეთი სულის-კვეთების ქართველს ერთ წამსაც არა აქვს სახეში საქართველო და მისი ინტერესები, რადგან საქართველოს ხსნა სწორედ რუსეთის წამოჩოქებაში, დამარცხებაში და დაყოფაშია.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოზედ საშინაოდ პატრიოტული აზრების გამოთქმა მხოლოდ ფრაზებია და საქართველო და მისი ინტერესები სოციალ-დემოკრატიას მუდამ მიტანილი ჰქონდა ზვარაკად. და დღესაც მიიტანს საერთაშორისო პროლეტარიატის სამსხვერპლოზედ. ვინ იცის,—დასუსტებული სოციალისტური ინტერნაციონალები, ახალი ძლიერი ანტისოციალისტური და ეროვნული ტალღის წინაშე მდგარი და მით შეშინებული იმათი ძალების გაერთიანებით მოისურვებენ ალბათ ბრძოლას «საშინელი რეაქციის» წინააღმდეგ და ეს არც საკვირველი და არც მოულოდნელი იქმნება. მაშინ, საინტერესოა, რას იზამენ ეგრედ წოდებულნი „ეროვნულნი მიმდინარეობანი“, რომელნიც დღეს გადადგენ თავიანთი პოზიციითგან და სოც.-დემ. შეუერთდენ? ორში ერთი, ან უნდა გაჰყვენ მათ უკან მაჩანჩალად და ეძიონ შექმნილ მდგომარეობაში რაიმე დასაყრდნობი წერტილი ლოიალური თანამშრომლობისათვის, ან და კვლავ ძველ ეროვნულ პოზიციებს ძებნა დაუწყონ. მაგრამ ეს პოზიციები ვაი თუ უკვე დაკავებული იქმნეს სხვა უფრო სწორ და ურყევ პოზიციაზედ მდგომ ეროვნულ ძალთა მიერ, რომელნიც არსებობენ დღეს საქართველოში.

ჩვენ ყოველივე ესე ნაკლებად გვაწუხებს. რაც უფრო მალე მოხდება ამღვრეული პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის ჭაობის განწმენდა, მით უკეთესია.

თეთრი გიორგი მტკიცედ სდგას თავის პოზიციაზედ და ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს მას. თეთრ გიორგის გარკვეული გზა აქვს, სრულიად სწორი: სადი და სრული ნაციონალიზმი, წმინდა და სრულიადი პატრიოტიზმი, უანგარო და მტკიცე დებულება: საქართველო უწინარეს ყოვლისა!

დღეს მსოფლიოში ერები გამოფხიზლდენ, ირაზმებიან, იკრებენ ძალებს გარდამწყვეტი ბრძოლისათვის წინააღმდეგ ინტერნაციონალებისა და ანტიეროვნული მარქსიზმისა და მის მოკავშირე ლიბერალურ, ყალბ დემოკრატიულ, ცხოვრების და ისტორიის მიერ განწირულ ძალთა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გაიმარჯვებს იდეა ერთა თავისუფლებისა და ახალ გადახალისებულ ეკონომიურ-სოციალურ ნიადაგზედ დამყარდება წარმატება და განვითარება ერთა. თეთრი გიორგი აქეთ მიდის.

მეგობარი.

## სრული ნაციონალიზმის გზით!

მე-19 ე საუკუნის მეორე ნახევარი ეროვნული იდეისა და თვითშემეცნების ფრთა გაშლის ხანას წარმოადგენს.

დღეს აღარ არსებობს აღარც ერთი ოდნავ კულტურულ საფეხურზედ მდგომი ერი, რომელშიაც არ ეფეთქოს ეროვნულ შეგნებას. თანამედროვე ეროვნულ მოძრაობათა ისტორია საბოლოოდ ამტკიცებს, თუ რა სახეს მიიღებს მომავალში კაცობრიობის სოციალურ-პოლიტიკური შენობა. ასეთია სურათი ახლად გამოღვიძებული ერებისა.

ხოლო თანამედროვე კულტურისა და ცივილიზაციის საფეხურზედ ასულ ერთა წიაღში ეროვნულმა თვით შემეცნებამ უსრულეს სახეს მიაღწია და თავისი შინაარსი სრული ნაციონალიზმის ფორმით გამოხატა.

ძველ საუკუნეთა პატრიოტიზმი თუ წმიდა ეროვნულ ეგოისტურ გრძნობათა სამყაროთგან იკვებებოდა, თანამედროვე პატრიოტიზმი არის ამასთანავე შედეგი და რეალური სახე ნაციონალიზმის, როგორც დოქტრინის.

თანამედროვე კაცობრიობის სოციალურ-პოლიტიკურ სულს ნელ-ნელა ნაციონალიზმის დოქტრინა ეუფლება.

და პრაქტიკულ ცხოვრებაში ნაცვლად ფეოდალური მონარქიის, ბურჟუაზიულ - დემოკრატიული ოლიგარხიის, ლიბერალური ბიუროკრატიის და მენშევიკ-ბოლშევიკური კასტური დესპოტიის, ხორცს ისხამს ეროვნული სახელმწიფო, მთელი ერის ნივთიერ-გონებრივი და სულიერი კულტურის გაშლის ყოველგვარი შესაძლებლობით.

მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში მსხვილი ინდუსტრიის განვითარების ნიადაგზედ შექმნილ დამქირავებელთა და დაქირავებულთა ანტაგონისტურ შეხლა-შემოხლაში წარმოიშვა ახალი მოძღვრება «მეცნიერული სოციალიზმის» სახელწოდებით,—მოძღვრება «მეცნიერული» — უტოპიური, უტოპია ყველა უტოპიათა შორის,*) რადგან ის შეეცადა ყველა მეცნიერული მონაცემებით თავისი არგუმენტაცია გამართლებია. მაგრამ ის დამარცხდა თეორიულად და სამარცხვინოდ—პრაქტიკულადაც.

და დღეს, როდესაც მისმა მავნე შედეგებმა კაცობრიობისა და მის მიერ შექმნილი ცივილიზაციის ნგრევის სურათი გადაგვიშალა, მას წინ აღუდგა ეროვნული იდეოლოგია სრულყოფილი ფორმით და კულტურულ კაცობრიობას მხსნელად მოევლინა იგი.

სრული ნაციონალიზმის იდეა ცხოვრების სარბიელზედ ყველაზედ მკაფიოდ მაშინ გამოჩნდა, როდესაც დიდი ომისა და კლასთა ბრძოლის შედეგებისგან ვნებული საზოგადოებრივი ცხოვრება რღვევის გზას დაადგა.

დღეს ყველგან ეს ორი ძალა ეხლება ერთი-მეორეს,—

პირველი დრო მოჭმული ყალბი და უსაფუძვლო, მეორე ცხოველი,—იდეოლოგია, აღმოცენებული თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების, კულტურისა და ცივილიზაციის წიაღში.

ამგვარად თუ მარქსს მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის ჰორიზონტზედ მთელი ქვეყნიერების დაბრძოლთა მხსნელად კომუნიზმის აჩრდილი ელანდებოდა, დღეს იმავე ევროპის მადლიან ცაზედ სრული ნაციონალიზმის იდეა ამოცურდაა.

ევროპის ბევრ სახელმწიფოებში უკვე ხორცი შეისხა ამ იდეამ და ბევრიც მალე მიაწევს ამას. დღევანდელმა მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა კვლავ უფრო მკვეთრად გამოაჩინა ეროვნული იდეოლოგიის დიადი მომავალი.

ამ დიადი აზრით არის შეპყრობილი თანამედროვე ევროპის ახალგაზრდობა და მაშასადამე დღეს ევროპისა და მთელი კაცობრიობის პოლიტიკური აზროვნებაც აქით მიექანება.

როგორია ქართული პოლიტიკური აზრი?

ისტორიამ არ იცის ველური ქართველი. უძველეს დროითგან ცხოვრობდა იგი ეროვნული ან ტომობრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრებით. მაშასადამე ქართველი ერი ეროვნულ შეგნებას თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზედ ყოველთვის თან დაატარებდა. ჩვენი ისტორიის საუკუნეთა და წელთა ზოგიერთ ხვეულებს [თუ] შავი ბინდი ეხვეოდა, ეს მხოლოდ გარეშე-ულმობელ მტერთა მიერ აოხრების შედეგი იყო. და როგორც კი გადაიყრიდა ხოლმე ბურუსს, ვითა მზე ღრუბლების შემდეგ, ეროვნული გრძნობა თავის ცხოველმყოფელ სხივებს კვლავ გამოაშუქებდა.

მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ჩრდილოეთის ბარბაროსებმა ძლიერი ლახვარი ჩასცეს ქართულ ეროვნულ სულს. შავ-ბნელი დააწვა ჩვენს სამშობლოს და, მთვარის შუქზედ, მის მადლიან მიწას, დიდ ხანს მხოლოდ სარჩობელათა ჩრდილები ღა ფარავდა.

საქართველო დიდ ხანს ჰმინავდა გულდაკოდილი...

«არსაიდ-ას ხმა, არსით ძახილი, მოგვლი სიცილს არვის ეტყოდა»...

დიდი ილიას ძახილი მხოლოდ რიყრაჟი იყო შავბნელ არემარეში. და ამ ძახილმა ვერ გაათბო ყველას გული, ვერ მისწვდა ყველას სულს და დარჩა მხოლოდ ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა, რადგან სხვა და სხვა თეორიებითა და «იზმებით» მოწამლული ქართველის სული მას არ იკარებდა.

მხოლოდ დღეს, როდესაც მრავალტანჯულ საქართველოს, განთავისუფლებულს, კვლავ ჯვარი დაადვეს ზურგზედ და გოლგოთას შეუყენეს—დღეს, როდესაც ისევ ჩრდილოეთის ბარბაროსები აპირებენ ქართველი ერის ზვარაკად შეწირვას ილუზიებისათვის, საუკუნეებით ნაწამებმა ეროვნულმა სულმა, ათასეულ წელთა მიმდინარეობაში გამოზრდილმა ეროვნულმა თავმოყვარეობამ კვლავ იფეთქა მთელი თავისი სიძლიერით; მთელი ერი ანთებულია ამ უშრეტი ცეცხლით და მიიწევს სამსხვერპლოსაკენ...

თუ იოანე ხაბანის მის დროს კიდევ რყევა შეიძლებოდა და ილიას დროს უკანასკნელი ხმაც მისწყდა, დღეს ეს აღარ შეიძლება მოხდეს, რადგან თვით ერში გაისმის მედგარი ყივილი ეროვნული განმანთავისუფლებელი ბრძოლის, მაჯისცემა მატულობს და ქართველის გულში დაგროვილი მტრისადმი შურისძიების გრძნობა ძლიერდება. გარედ კითანაგრძნობის ქვეყანაც გაიზარდა.

თუ მე-18-ე საუკუნის საქართველოს, მომწყვდეულს ობლად ორ დიდ სამყაროს შორის, მშველელის ხელი არსაითგან უჩანდა, თუ მე-19-ე საუკუნეში ყველა დიდი სახელმწიფო ერთად-ერთი დაპყრობითი პოლიტიკით საზრდოობდა, დღეს მთელი კულტურული კაცობრიობა მოცულია ეროვნული აზრით, ეროვნული იდეოლოგია იმარჯვებს ყველგან.

ასეთ საფარველს ქვეშ იზრდება დღეს ქართული ეროვნული სული და გვწამს, რომ დიდი ილიას სიტყვები მხოლოდ დღეს აღსრულდება, გვწამს რომ:

«ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლვას და ახალ ნერგზედ ახლად შობილი ჩვენი ქვეყანა კვლავ აყვავდების»

ამიტომ დღეს აღარ უნდა დარჩეს არც ერთი ქართველი (ვინც კი ღირსია ქართველის სახელი ატაროს!), რომელიც სამშობლოს საბედისწერო წუთებში ამ დიად მიმართულებას არ შეუერთებს თავის მოქმედებას.

დამთავრდა «მიხვევ-მოხვევის», «გაუგებრობების», «ტაქტიკის» ხანა. დადგა გამბედაობისა და ბრძოლის დრო და. ვაი იმ ქართველს, ვინც წარსულ თვისებებს შერჩება. ერთხელ და სამუდამოდ თავითგან უნდა მოვიცილოთ შიში და გაუბედაობა, სენტიმენტალობა. ეს არ ახლოვს ჩვენს ბრძოლათა ისტორიას და ჩვენც ჩვენი საკუთარი ცხოვრების მაგალითებს უნდა მივსდიოთ.

ამიტომ სულაც არ არის ჩვენთვის სულ ერთი (როგორც გ-ნ გვაზავას გონია), თუ «რა ქარი დაუბერავს ჩვენს აფრას და იალქანს, ოღონდ მივიდეთ ნაპირას,—მივაწიოთ საქართველოს განთავისუფლებას», რადგან თუ ძველმა ქარმა მოიტანა ეს განთავისუფლება, იგივე წაიღებს. 1918 წელს რომ საქართველოს დამოუკიდებლობა «იძულებით» და «ობიექტური პირობების შექმნის» გამო არ გამოცხადებულიყო, რომ ის თავდადებული ბრძოლისა და სისხლის დათხევის შედეგი ყოფილიყო, 1921 წ. ტრაგედიას ადგილი არ ექნებოდა ჩვენს ისტორიაში. იმის მაგიერ, რომ ჩვენი ქვეყნის საჭეთ მპყრობელებმა ჩამადნებით ხელში ევროპას მიაშურეს («დამ

*) ამიტომ იყო, რომ სოციალიზმი ოვით იმ კლასებისათვის, ვისაც მხსნელად მოევლინა, უდიდეს ბოროტებად გარდაიქცა და «სოციალიზმის სამოთხით» მოტყუებული მშრომელი კლასები დღესაც ბევრ ქვეყანაში იტანჯებიან

ფრთხალთ,შეშინებულთ და მყუდრო ცხოვრების მაძიებლებმა") იქ, ბრძოლის ველზე დაღვრიდნენ სისხლს!..

დიახ! არ არის «სულ ერთი»!

საქართველოს განთავისუფლების იალქანს სულ სხვა ქარმა უნდა დაუბეროს,ქარმა ნამდვილი ეროვნული გრძნობისა და გმირული სიმლიერისა,ქარმა ძლიერი ქროლვისა. მხოლოდ ამგვარ ქარს შეუძლია საქართველოს განთავისუფლება და დაცვა.

მომავალი ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშას უნდა ეწეროს მხოლოდ სამი სიტყვა:

**„საქართველო უწინარეს ყოვლისა„**

ეს უნდა იყოს მიზანი და იდეალი მთელი ქართველი ერის.ეს უნდა იყოს საფუძველ-მდებელი მთელი მოძრაობისა

ეს დროშა თ. გიორგიმ აიღო ხელთ და,თუ როგორ ღირსეულად აღმართავს მას სამშობლოს მიწაზედ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

გვწამს ისიც, რომ თ. გიორგის დროშის ქვეშ დღეს ქართველ პატრიოტთა მხოლოდ ნაწილია თავმოყრილი. ნაწილი ქართველთა,რომელიც იმავე ცეცხლით არის აღგზნებული,როგორც ჩვენ,ჯერ კიდევ სხვა და სხვა მიზეზების გამო შეფარებულია სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებში ზოგიერთებულად კი ორგანიზაციების გარეშე სდგას.

ამიტომ სწორედ ახლაა საჭირო სრული გამბედაობა ზოლო მავნებელი ყოველივე რყევა. ეს განსაკუთრებით მოეთხოვება ახალგაზრდობას,რომელიც პირველ რიგშია მოწოდებული სამშობლოს სამსახურისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ ნელ-ნელა განქრებიან «გაუგებრობანი» ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების წიაღითგან და თ.გ. ნაციონალიზმის დროშის ქვეშ მოიყრის თავს მთელი ქართველი ახალგაზრდობა.

ვიმედოვნებთ,რომ სახელოვან ქართველ მხედართა კრებული,რომელიც ყოველთვის და დღეს განსაკუთრებით ამ აზრით უნდა საზრდოობდეს,ქართველ გმირთა შთაგონებით,-გმირთა,რომელთ საფლავები ჯერ არ გაცივებულან და რომელთ შავი მერნები კვლავ დასჭიხვინებენ აოხრებულ სამშობლოს არე-მარეს,—დაამშვენებენ ბრძოლის ველებს. გვწამს,რომ ამ საბედისწერო ბრძოლის დროს კვლავ გამოჩნდებიან სააკაძე-ჩოლოყაშვილები და ქართველ მებრძოლთა გუნდებს მხნეობისა და მძლეობის უკვდავ სულს ჩაუდგამენ! გვწამს აგრეთვე,რომ ამავე ბრძოლაში გამოიჭედებიან დავით-თამარის პოლიტიკის ღირსეულნი მემკვიდრენი, გამოჩნდებიან ჩვენი დროის ასპარეზზედ და სამშობლო ქვეყნის მართვის საქმეს საჭირო მიმართულებით შეაგრუნებენ.

მთელი ქართველი ახალგაზრდობა ანთებული გულით ელის ამ წუთს: ველით დიდი კოცონის დანთების ჟამს, რომ ყველამ ჩვენი ნებით შევსწიროთ ჩვენი თავი მსხვერპლად სამშობლოს ქეთილდღეობას.

ალ. მანველიშვილი.

## ბოროტისაგან დაუცხრომელნი

„კომმუნისტური მანიფესტის“ პარტია,რომლის საბოლოო მიზანი იყო და არის დიქტატურა პროლეტარიატისა, უდიდეს ბოროტებად მოევლინა საქართველოს. დაღლილმა, ბევრი მხრით ჩამორჩენილმა პატარა ერმა ვერ გაუძლო ამ პარტიის ანტი-ეროვნულ პროპაგანდას,ტერრორს, რევოლუციონერობას. ანტიეროვნულმა პროპაგანდამ ბედის მიერ ძლივნად მოტანილი დამოუკიდებლობა დააკარგვია საქართველოს,ტერრორმა საუკეთესო ელემენტები ამოუწყვიტა პატარა ერს და დააკნინა იგი რასიულად,აბსურდამდის მიყვანილმა რევოლუციონურმა რადიკალიზმმა მოსპო არა მარტო ის კეთილშობილი სული,რომელსაც ქრისტეს სარწმუნოება განამტკიცებდა ქართველთა შორის,არამედ ელემენტარული ზნეობაცა და სამართლიანობის გრძნობაც კი.—ჯერ არ დაწერილა ჩვენი სოციალ-დემოკრატიის ისტორია, ერთად ბოლშევიკ-მენშევიკთა,მენშევიკთა და ბოლშევიკთა ცალ-ცალკე.ხოლო ოდეს დაიწერება—და ეს ისტორია ერთი იქნება,.როგორც ისტორია ჩვენი მარქსიზმისა,ანუ კომმუნიზმისა, ანუ სოციალ-დემოკრატიისა,როგორც ერთი მოვლენისა,—მაშინ გახდება სრულიად ცხადი, თუ რაოდენი ვნება მიაყენა ამ ბოროტებამ ქართველ ერს,

საზოგადოებათა განვითარების შეურყეველი, „რკინის კანონის“ ძალით პროლეტარიატმა უნდა დაიჭიროს ბურჟუაზიის ადგილი. ეს არის სოციალური რევოლუცია, რომელსაც დარაზმულმა პროლეტარიატმა ხელი უნდა შეუწყოს კანონიერი ბრძოლითაც და ძალითაც. ყოველი საშუალებით უნდა ეცადოს იგი სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას და ამით გარდაქმნას ძველი საზოგადოება ახალ, სოციალისტურ საზოგადოებად. სოციალ-დემოკრატიული პარტია—პოლიტიკური,მომქმედი, რევოლუციონური წინამძღოლია პროლეტარიატისა; მაშასადამე მისი დიქტატურაც,—ეს იგივე პროლეტარიატის დიქტატურაა (თითქოს!),—და ამ მიზნის მისახწევად ყოველი საშუალება მისაღებია,გამართლებული თვით მისი დიდი მოწოდებით.

ეს არის მარქსისტების მრწამსი და აქეთგან გამომდინარეობს მორალი სოციალ-დემოკრატისა,—ბოლშევიკისა თუ მენშევიკისა.

ეროვნების წინააღმდეგ როგორც ბოლშევიკი ისე მენშევიკი თითქმის ორმოც წელიწადს ჰქადაგობდა საქართველოში. ბოლშევიკი მხოლოდ ერთგული დარჩა ანტიეროვნული იდეისა და მენშევიკების მიერ მხოლოდ გარეშე მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად გამოცხადებულ საქვრთველოს, რუსეთის „წასლაის“ შემდეგ, მან კვლავ შემოასია რუსის ურდოები, გაანადგურა იგი და ანადგურებს დღესაც. ყოფილიყო მახარაძე იმავე პირობებში იძულებული საქართველოს დამოუკიდებლობა ეცნო და მისი ნიადაგი თვისი პროგრამის განხორციელების საცდელად გაეხადა, ხოლო ჩვენი მენშევიკები დემოკრატიულ რუსეთში ხელის-უფლებად და გაბატონებული პარტიის გავლენიან წევრებად, მაშინ იგინი დასთრგუნავდენ მახარაძეს და დამოუკიდებელ საქართველოს რუსის ჯარებით.—ბოლშევიკისათვის საქართველო იყო ისევე მხად სოციალიზმისათვის, როგორც რუსეთი; ამიტომ უნდა შეერთებოდა საქართველო ჯერ დიდ რუსეთს და მერე მთელ ქვეყანას, სადაც „მსოფლიო რევოლუციით“ ბოლოს და ბოლოს სოციალიზმს დაამყარებენ. ხოლო მენშევიკისათვის დემოკრატიის გზით უნდა განხორციელებულიყო სოციალიზმი ყველგან და რუსეთშიაც და რადგან რუსეთს ბოლშევიზმი მოედვა, ხოლო საქართველოში მენშევიკებმა მოიპოვეს ძალაუფლება და დემოკრატიზმს ჩაუყარეს საფუძველი, მხოლოდ ამიტომ ჰქონდა აზრი საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს დამოუკიდებლობა იყო მხოლოდ ,,ტაქტიკის‘‘ საკითხის გადაწყვეტა და არა ერის უფლება. აი განსხვავება ბოლშევიკისა და მენშევიკის კონცეპციის შორის და ამ განსხვავებითგანაც გამომდინარეობს მათი დავა, მათი ბრძოლა ურთი-ერთის წინააღმდეგ. ეს განსხვავება არ არის ძირითადი, პრინციპიალური, არ არის წინააღმდეგობა ერის აღმსარებელთა და ერის უარ-მყოფელთა შორის, არამედ წინააღმდეგობა სხვა და სხვა გზით ერთისა და იმავე მიზნისაკენ მიმავალ ერის უარ-მყოფელთა შორის.და თუ ჩვენი მენშევიკების განსაკუთრებითი დაუნდობელი მტრობა ბოლშევიკებისადმი ზოგს პირველთა ,,მორჯულებად‘‘ და ,,განაციონალისტებად‘‘ მიაჩნია,ძალიან სცდება:მიზეზი ამ განსაკუთრებული მტრობისა არის ის, რომ დამოუკიდებელ საქართველოში მენშევიკებს ,,ძალა-უფლება‘‘ გაუტკბათ, ნამდვილი დიქტატორები იყვნენ, თუმცა კონსტიტუციით ჰფარავდენ დიქტატორობას.

აი ამ დიქტატურისა,ხელის-უფლების დასაბრუნებლად იბრძვის ლეს ასეთი სასო-წარკვეთილებით ქართული მენშევიკური პარტია,ამისთვის ,,სწამს‘‘ მას დამოუკიდებელი საქართველო,სურს აღდგენა მისი,ამისათვის არ ზოგავს არავის—არც ოლშევიკს,რომელიც არავისაგან არ არის დასაზოგავი,მაგრა არც სხვას არავის,არც ერთს ქართულ პოლიტიკურ პარტიას, ჯგუფს,არც ერთს ქართველს,პიროვნებას,რომელიც კი მათი ყურ-მოჭრილი ყმა არ იქმნება და ვისაც კარგად ესმიან მთნია ზრახვანი და სულ სხვა მიზნით იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, სხვაგვარად სწამს ერი და სხვაგვარი მომავალი სურს მისთვის. და საშუალებანი მენშევიკთა ბრძოლისა სრულიად ეთანხმებიან მათი მსოფლიოს მხედველობითგან გამომდინარე მორალს.

ამბობენ,მარტო ემიგრაციაში და ემიგრაციითგან ეწევიან მენშეიკები ასეთს ბრძოლას პატრიოტების წინააღმდეგ, თორემ საქართველოში „გაპატრიოტდენ“ და ასეთ რასმე აღარ კადრულიაბენო, იქ ნაციონალისტები და მენშევიკები ერთად ებრძვიან ბოლშევიკებსო და სხვა. ღმერთმა ჰქმნას,ასე ყოფილიყოს. რაც არ ვიცით ნამდვილად იმაზედ ვერას ვიტყვით. მაგრამ აქ,ემიგრაციაშიაც ხომ ,,პატრიოტობენ‘‘ მენშევიკები,აქაც ხომ აქვსთ საერთო ფრონტი,სადაც ნაციონალისტები შედიან? ხოლო ჩვენ ვიცით რა არის მათი ,,პატრიოტობა‘‘, ვიცით,როგორ სარგებლობენ იგინი ამ პატრიოტობით,სადაც გაუდისთ, და როდის უარ-ყოფენ მას მყისვე,როდესაც ეს მათი ,,ტაქტიკური მოსაზრებათ‘‘ საჭიროა. ვიცით ისიც, თუ რას წარმოადგენს აქაური ,,საერთო ფრონტი‘‘ რა პატივი:რა ფასი და რა პრესტიჟი აქვს მას,მენშევიკთა მიერ უღელ-დადგმულს.

და დავუკვირდეთ მათ აქაურ მოქმედებას ამ თერთმეტის წლის განმავლობაში,თუ ნათლად არა სჩანდენ როგორც მათი მიზანი,ისე მათი შიში,რომ არავინ შეეცილოს იმ ბატონობას,რომელიც მას უნდა მოელოდეს განთავისუფლებულ საქართველოში, და აგრეთვე სიბინძურე იმ საშუალებათა,რომელთაც იგინი პოლიტიკურ მოპირდაპირეთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს ხმარობენ.

ჯერ შეუძლებელია მთელი მათი მოქმედების აღწერა ემიგრაციაში,ესეც მომავლის საქმეა და ძნელი საქმეც,ვინაითგან ძალიან მცირე რამ არის ცნობილი მათ საქმეთაგან,—საიდუმლოების ჯურღმულითგან სინათლეზედ გამოსული. მოვიგონოთ აქ მხოლოდ ის,რაც ყველამ იცის,და მათი მოქმედების დასახასიათებლად ესეც საკმარისი იქმნება.

ნ. ჟორდანია სწერდა ჩუმად თავის ცნობილ წერილში ამხანაგ აბესალომს (,,კომუნისტი‘‘ 26 ივნისი 1927წ.) შემდეგს:როდესაც დადგება ბრძოლის მომენტი „ერთი კი აშკარაა, რომ მარტოთ არ უნდა გამოვიდეთ და თავის თავის იზოლაცია არ მოვახდინოთ.ეს მით უფრო დასამახსოვრებელია,რომ არიან დაინტერესებული ჯგუფები ჩვენი ცალკე გამოსვლის,ასეთებია პირველ ყოვლისა თვით ბოლშევიკები ომის დროს ესენი მოავიწყობენ პროვოკაციას,რომ ერთხელ და სამუდამოდ საქართველოს საკითხი გადასწყვიტონ მისი გაჟლეტით,მსგავსად სომხებისა ოსმალეთში.მეორენია ქართველი ფაშისტ-ავანტურისტები ევროპაში. ისინი მუშაობენ დამოუკიდებლად (კედია, ასათიანი,ჩოლოყაშვილი, კვინიტაძე).მათი ლოზუნგია—ძირს მენშევიკები.ამ მიზნით ისინი შეუერთდებიან ყველას,ოღონდ კი მართვა ხელში ჩაიგდონ და ჩვენ დაგვარბიონ.ეს ხალხი გამოვლენ უცხო იმპერიალისტების აგენტებად და შეეცდებიან ხალხის აყოლიებას.ამათთან ბრძოლა ეხლავე უნდა დაიწყოთ და მათი მომხრე ელემენტები იქ მათ წინააღმდეგ აამხედროთ. იცოდეთ,ეს ჩვენი სერიოზული საფრთხეა,ერიდეთ პროვოკაციას. საქართველოში ჩვენს და ჩვენს ფრონტში მყოფი პარტიულების გარდა არავინ არ უნდა მუშაობდეს და არც ვინმე გააჭაჭანოთ“. ახლა დავუგდოთ ყური,რას სწერს იმავე აბესალომს ნ. რამიშვილი (კომუნისტი 26 ივნისი 1927 წ.):„ჩვენი მიზანია არსებულ ქართულ ლაშქრის გადაქცევა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავარ ბერკეტად და მით ჩვენი ბრძოლის გაადვილება.საჭირო იქნება დაუყონებლივ ლაშქრის ხელმძღვანელთა გაწმენდა მობოლშევიკო და ფაშისტურ-რეაქციონურ ელემენტთაგან. უნდა ვერიდოთ შევქმნათ გვარდია და მსგავსი რაზმები“ და სხვა. „რომ გადატრიალებისას ქვეყნის ბატონ-პატრონი დემოკრატია შეიქმნეს და არა ფაშისტურ-რეაქციონური ელემენტები და სხვა და სხვა ჯურის ყოფილნი (ს. დევდარიანი,პ. გოთუა და მსგავსი) მოღალატენი, აქედანვე უნდა მოვახდინოთ მოხალისეთა ჩუმი აღნუსხვა და სხვა. „უნდა მივიღოთ ყოველნაირი ზომა განსაკუთრებით თბილისში,რომ გადატეხისა და ბოლშევიკების დაცემის დროს ძალა-უფლებას დაეპატრონოს დემოკრატია და საერთო ფრონტის მომხრენი (სოციალ-დემოკრატიული პარტია,სოციალ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები შალვა ამირეჯიბისა და გვაზავას მომხრენი) და თავშივე ჩავკლათ ფაშისტ-რეაქციონერთა ცდა. ბოლშევიკების რეჟიმის დამხობისათანავე უნდა შევადგინოთ დროებითი მართველობა ჩვენი პარტიისა,სოციალ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენელთაგან“ და სხვ. „დროებითმა მართველობამ,რომლის თავმჯდომარე აუცილებლივ ჩვენი პარტიის წარმომადგენელი უნდა იყოს, უნდა განაცხადოს თავიდანვე,რომ ერის წარმომადგენელია უცხოეთში გახიზნული ნ. ჟორდანიას მთავრობა და რომ დროებითი მართველობა მაშინვე გადადგება,როცა საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდება ეს მთავრობა, ან მისი რომელიმე წევრი‘‘.დროებითმა მთავრობამ უნდა ,,გაწმინდოს ჩვენი ტერიტორია მოლშევიკურ და ფაშისტურ ელემენტებისაგან‘‘. ქალაქებსა და მაზრებში მართველობა აგრეთვე პარტიებთან შეთანხმებით უნდა მოეწყოს,ხოლო თავმჯდომარე ყოველთვის სოციალ-დემოკრატი უნდი იყოს. ,,განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მილიციის შემადგენლობას.ის სავსებით უნდა გაიწმინდოს როგორც მობოლშევიკო ისე ყველა საეჭვო ელემენტებისაგან.იქონიეთ სახეში,რომ შეცვლილ მდგომარეობაში ყველაზედ უფრო საშიში იქნებიან ფაშისტ-რეაქციონური ელემენტები.მიიღეთ ზომები, რომ არც ერთი რეაქციონერი და ფაშისტი მილიციაში არ შეგვეპაროს და საერთოდ არც ერი საპასუხის-მგებლო პოსტზედ ისინი არ გააჭაჭანოთ.“ შემდეგ აღწერილია აქაური საქმიანობა და დარიგება,თუ როგორ უნდა მოიქცეს ქართველი ხალხი მოსალოდნელი ომის დროს,და წერილის ავტორი დასძენს: „ასეთ ხელ-საყრელ მომენტში ჩვენ ახალი მტერი გაგვიჩნდა.ეს არის ფაშისტთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობენ სპ. კედია,ალ.ასათიანი,ლეო კერესელიძე,გენერალი კვინიტაძე,ქაქუცა ჩოლოყაშვილი,კოტე კობახიძე (ყოფილი სოციალ-ფედერალისტი) და მიხაკო წერეთელი,პოლონეთში ღენერალი ჩხეიძე და პოლკოვნიკი (ინჟენერი) კანდელაკი.მათ აიყოლიეს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მიმდევართა ახალგაზრდობა და მიზნად დაისახეს ჩვენი პარტიის და სოციალისტების დასამარება. მთელი ეს ჯგუფი დაკავშირებულია ფულით და საქმით შალვა ქარუმიძესთან,რომელიც ჩეკის აგენტია. ახალ-გაზრდათა შორის უთუოდ ბევრია ჩეკის აგენტი,თუმცა ასათიანი და კერესელიძე მაინც,თუ სხვები არა,ბოლშევიკთა აგენტების შთაბეჭდილებას ახდენენ. ფაშისტთა ჯგუფი გადაბმულია რუს მონარქისტებთან და მზადაა დაკმაყოფილდეს ავტონომიით, ოღონდ თავიდან მოიშოროს სოციალისტები.აგრეთვე ისინი ყველგან დაძრწიან და ცდილობენ ამიერ კავკასიაში იტალია შემოიყვანონ და მისი მანდატი დააწესონ.როგორც ხედავ,ფაშისტთა ჯგუფი ჩვენ ერს ახალ ავანტიურას უმზადებს.ისინი აშკარად ამზადებენ იტალიის დახმარებით აჯანყებას,რაც ჩვენ ერს ჯერ ფიზიკურად განადგურებას უქადის,ხოლო მეორე მხრით ახალ სამოქალაქო ომს უმზადებს.ყოველი ძალ-ღონით მათი გეგმა უნდა ჩავფუშოთ. საჭიროა თქვენ მთელი ხალხი დარაზმოთ ფაშისტთა და მათ მოსყიდულ მოკავშირეთა წინააღმდეგ.პირველ რიგში შეეცადეთ ხალხს ზეპირად გადასცეთ სრული სინამდვილე და ფაშისტთა მეთაურებს ხალხის თვალში სახელი გაუტეხოთ. ამ მიზნით აუცილებელია: 1)ყველა პოლიტიკურ პარტიას და სხვა ორგანიზაციებს (სტუდენტთა კავშირი,მწერალთა კავშირი და სხვ.) ამცნოთ ფაშისტთა ვინაობა და მათი ბნელი მიზანი.2) ხალხის ფართო წრემ უნდა გაიგოს, რომ ფაშისტები უთანხმდებიან ქართველი ერის ზურგს უკან რუს მონარქისტებს და იტალიელ ფაშისტებს,და ეს შეთანხმება ერს თავზე დაატეხს ახალ უბედურებას. 3) ლეგალური და სხვა გზით ფაშისტებმა და მათ მიმდევრებმა თავიანთ ნაცნობთა,მეგობართა,ნათესავთაგან უნდა გაიგონ წერილების მეოხებით, რომ მთელი ერი აღშფოთებულია ფაშისტთა მიერ ეროვნული ფრონტის გარღვევით და მათ მიერ ეროვნული მთავრობის უარ-ყოფით და ისეთი მოღალატური საქციელით,როგორიცაა რუს მონარქისტებთან და იტალიელ ფაშისტებთან კავშირი.ასეთივე წერილები თავისიანებისა და ნაცნობ-მეგობრებისაგან უნდა მიიღონ პარიზში მყოფმა ნაციონალისტ-სტუდენტებმა.რომ უკეთ ჩავფუშოთ ავანტიურისტთა გეგმა, აუცილებელია შევქმნათ დამოუკიდებლობის (ან განმათავისუფლებელი) კომიტეტები და დაწესება საინფორმაციო ბიუროსი სამი პარტიისაგან: სოც.-დემ. პარტია,სოც.-ფედ. პარტია და მთლიანი ფრონტის მომხრე ეროვნულ-დემოკრატები (ამირეჯიბ-გვაზავას ჯგუფი).სხვა პარტიები არ არსებობენ,განსაკუთრებით სხიველები,და ისინი უნდა გავბეროთ.ეს კომიტეტი შეიძლება,თუ სხვაგან არ მოხერხდა, შენ ახლოს მოეწყოს.ჩვენის ცნობით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მეტად სუსტია.მას ცენტრ. კომიტეტი არა ჰყავს. საჭიროა მისი ცენტრი შეიქმნას და უკანასკნელმა ზურგი გაუმაგროს ამირეჯიბს და გვაზავას“ და სხვ..

მთელი სული ქართული სოც,-დემოკრატიისა ამ წერილებშია:განუსაზღვრელი სურვილი ბატონობისა,არ დაზოგვა არავითარი საშუალებით არა თუ პირდაპირ მოწინააღმდეგეთა,არამედ არავისი, პოლიტიკური მეტოქეობისაც კი. მოსალოდნელია, ცილის წამება და მთელი იეზუიტური გეგმა,მათი სახელის გატეხისათვის შემუშავებული,ამხედრება მათ წინააღმდეგ ნათესავთა,ნაცნობთა და მეგობართა,ჩუმი დაბეზღება და არა საქვეყნოდ გალაშქრება მათ წინააღმდეგ,და ისე მოხეუხებული,რომ ყოველი დაბეზღებულთაგანი მსხვერპლი შეიქმნეს რომელიმე შეუგნებელი ფანატიკოსის კრიმინალოგისა საქართველოში და აქაც,სუსტ პოლიტიკურ მოწინააღმდეგთა გამოყენება «საერთო ფრონტის» სახით. ტყუილი შთაბეჭდილების შესაქმნელად ქვეყნის თვალში,თითქოს სოციალ-დემოკრატია ეროვნულ ძალთა ნამდვილი გაერთიანების მომხრე იყოს სამშობლოს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, და სხვ.—აი რაოდენ სიბინძურეს შეიცავს ეს წერილები,რომელიც შემთხვევით ეცნო საზოგადოებას,და ვინ იცის,რამოდენი ამაზედ უარესი მიუწერიათ ამ წერილებზედ წინად,მათ შემდეგ, და ახლაც სწერენ! და მერე ვისი მოსპობა აქვსთ მიზნად დასახული

ზნეობრივად და ფიზიკურად?—ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, რომელსაც აქ თვალთ-მაქცად თავს ევლებოდენ, ეროვნულ გმირად სთვლიდენ, თითქოს დაივიწყეს ის პროკლამაცია, რომელიც მას ზურგში ესროლეს მისი ბრძოლის დაწყებისათანავე და რომლითაც მას თავად-აზნაურობის რეაქციის მეთაურად სთვლიდენ. ჩოლოყაშვილს, ერთად-ერთ ნამდვილ ეროვნულ გმირს, ერის წინაშე აბეზღებენ, ცილსა სწამებენ, ტერორის მსხვერპლად განამზადებენ, ხოლო ამ საზიზღარი წერილების გამოქვეყნების შემდეგ აქ მის საფლავზედ სტირიან!—სცდილობენ ჩუმად, საქართველოში, ჩეკისტის მსგავსად გამოიყვანონ კერესელიძე და ასათიანი, ხოლო ამავე დროს გირველს, «ფაშისტ-რეაქციონერს», პოლიტიკურ მინდობილობათ აკისრებენ იმავე «ფაშისტ-რეაქციონერებთან» ქართული საქმის გასაკეთებლად, შემდეგ კი, მიუხედავად მისი კანონიერი და ძლიერ ენერგიული ხელით-შეხებითი პროტესტისა ცილის მწამებლის წინააღმდეგ, დღეს მათ მეგობრად მიიჩნიეს და «საერთო ფრონტში» მიუჩინეს ბინა! სპობენ კედიას, ყოფილ მეომრს და მონაწილეს ფრონტისა, მხოლოდ იმიტომ, რომ მან «ფრონტის» ღირებულება დროზედ სცნო და არ მოისურვა დიქტატორთა ყმობა!-სპობენ სხვათ, რომელთაც უანგარო სამსახურის მეტი სამშობლოს წინაშე არა მიუძღვით რა, და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ იცოდენ და იციან სულის-კვეთება დიქტატორობის მაძიებელთა!

გამოქვეყნდა ეს წერილები და არც მათ ავტორებს შერცხვათ, არც იმ პარტიას, რომელსაც იგინი ეკუთვნოდენ არც მთავრობას, რომლის თავმჯდომარედ არის ერთი ავტორთაგანი ეპისტოლეთა, ხოლო მეორე იყო დიდი წევრი—შინაგან საქმეთა მინისტრი, რათგანაც სირცხვილს (ალბათ ბურჟუაზიულ გრძნობას!) იგინი არაოდეს შეუწუხებია. და არც აქაურმა საზოგადოებამ შეიწუხა თავი, რათგანაც საზოგადოება არ არსებობს, არ არსებობს არც ქართველი ნამდვილი «მოქალაქე» და არც «მოქალაქის» მოვალეობის გრძნობა მის გულში. ან კი საითგან იქმნება ჩვენში ან მოქალაქე და ან შეგნება მოქალაქის მოვალეობისა: ძველად არ დასცალდა საქართველოს, რომ მოქალაქის ტიპი შექმნილიყო, რუსების დროს კი იგი არ ყოფილა არც რუსეთში და ჩვენშიაც რუსების ბატონობის დროს ვერ გაჩნდებოდა, ხოლო სამი წლის დამოუკიდებლობის დრო, ისიც მენშევიკების დიქტატურისა, მოქალაქის ტიპს ვერ შექმნიდა საქართველოს.—და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მენშევიკები განაგრძობენ დღემდე ცილის-წამებასა და დევნას საუკეთესო ქართველთა, კიდევ მეტის უსირცხვილობითა და სიმწარით,—და ახლა აშკარად, რადგანაც წინანდელი ჩუმად ჩადენილი კრიმინალობა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას ეცნო იგი, შერჩათ: ყველა, ვინც არ არის მთავრობისა და «ფრონტის» მომხრე, სამშობლოს მოღალატედ არის გამოცხადებული.—ზურაბ ავალიშვილსაც კი თავიანთ პრესაში მაბეზღარად წოდება შეჰკადრეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან უცხო პრესაში გაჰბედა კრიტიკა მათი დამღუპველი პოლიტიკისა დამოუკიდებელ საქართველოში, რომელსაც იგინი ჰპატრონობდენ! როგორც ჩოლოყაშვილის გმობითა და ცილის-წამებით ერს უნდა წაერთვას მისი ნამდვილი გმირი, ისე ავალიშვილის დამცირებით საქართველოს ნამდვილი პოლიტიკური მოაზრე არ უნდა ჰყავდეს, ვინაითგან: რა არს არც ეროვნული გმირი და არც პოლიტიკური მოაზრე გარეშე მენშევიკთა და «მთავრობასთან» დაახლოვებულია.—საერთოდ, ყველა ბოლშევიკია, ან მათგან მოსყიდული «მტერი», ან «ფაშისტ რეაქციონერთა, რომელიც დემოკრატიის მტერთაგან იღებს ფულებს, რომ ბნელი საქმეები აკეთოს საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ, რომლის ნამდვილი წარმომადგენლნიც მენშევიკები არიან, ერთად-ერთი და ჭეშმარიტი «პატრიოტები». ქართველი ერის ოთხმოც და ხუთი პროცენტი ხომ სოციალ-დემოკრატიაა და მაშასადამე მათი მომხრე!

ჭანუყვამის პროცესის დროს რაც მოხდა და მის შემდეგ რაც დაიწერა მენშევიკების პრესაში, განგრძობაა მათი ამ გვარი მოქმედებისა, მათ ჩვეულებრივ ძველ კრიმინალურ საქმეთაგან ერთი უკანასკნელთაგანი და უშვერთაგანი.

ჭანუყვამემ ჩაიდინა უსაშინლესი დანაშაული, მოჰკლა საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მინისტრი ნ. რამიშვილი,-მოჰკლა იმიტომ, რომ გაჭირვებულმა, გატანჯულმა, მაროვებ-დანგრეულმა, მარტივის სულის პატრონმა რამიშვილი დასახა თავისი. და სხვათა ბევრთა უბედურების მიზეზად-სულ სხვა საკითხია საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ ეს კარგად იცოდენ მენშევიკებმაც, მაგრამ განზრახ, გორტი მიზნით გამოიყენეს მათ ეს უბედურება, რომ მოწინააღმდეგეთათვის ლაფი დაესხათ და რამიშვილის სახელიც წმინდად შეენახათ. მყისვე დაიწყეს განგაში თავისნთ პრესაში—ჭანუყვამე იყო ბოლშევიკებისაგან განზრახებული, რამიშვილი «მტრის ხელით» დაეცა. ვინც წინააღმდეგ იფიქრებს ან იტყვის, ის ბოლშევიკია, მტერი საქართველოსი და სხვა. თუ ჭანუყვამემ რამიშვილი მართლა პირადი გაბოროტებით მოჰკლა, მაშასადამე ცოტაოდენი ბრალი რამიშვილსაც ჰქონია, და რომ ეს შთაბეჭდილება არ დარჩეს, მის მკვლელ კრიმინალს მეორე ცოდვა უნდა აეკიდოს—ცილი უნდა დაეწამოს, რომ ის იყო ბოლშევიკების აგენტი! მოწინააღმდეგენი რასაკვირველია ამ უსამართლობით აღელდებიან, მაგრამ ძალა-უნებურად გამოუვათ ჭანუყვამის დაცვა, და მით უკეთესი,—ძალა-უნებურად გამოვლენ იგინი სამშობლოს მტრის დამცველად და ამით მათაც მოხვდებათ! მიზანი ამართლებს საშუალებას, და ამ საშუალებით ჩვენ მიზანს ვაღწევთ: სასტიკი შურის-ძიების გრძნობის დაკმაყოფილების, რამიშვილის წმიდათა შორის ჩარიცხვის-პოლიტიკურ მოპირდაპირეთა მაზეში გაბმას და დაკეში ამოსვრას. ასე ანგარიშობდენ, ასე გრძნობდენ მენშევიკები და დღითგან მომხდარი უბედურების პროცესის გათავებამდე არ გადაუხვევიათ ამ საზიზღარი, იეზუიტური მოქმედების გეგმისათვის.—იგივე მიზნები, იგივე გეგმა მოქმედებისა, რომელნიც ჩვენ ვიხილეთ ქარუმიძის პროცესის დროს და რომელთა მოწამეც ყოველთვის ვიქნებით, სანამ მენშევიზმი ჩვენი უბედური ქვეყნის სენი იქნება!-პროცესის წინასწარი განგაშის დროს გადააჭარბეს კიდეც და ვერც, იგრძნეს, რომ ეს გადაჭარბება უკვე სირეგვნეს უდრიდა ეშმაკის შესატყვისი ჭკუა ხომ აროდეს ჰქონიათ ჩვენ მენშევიკებს: «დამოუკიდებელი საქართველოს მე-69-ე ნომერში (სექტ. 1931 წ.) საქართველოთგან მოკლე, ლაკონიური ცნობაა: «ხალხმა გადასწვა ნოე რამიშვილის მკვლელის ჭანუყვამის ოჯახი». ეს ცნობა ფრანგულად უცხო მკითხველთაც ამცნეს, მაგრამ ის კი ვეღარ გრძნეს ამაზედ-მეტად გულ-მოდგინეთ, რომ თუ «ხალხმა» მართლა გადასწვა ჭანუყვამის ოჯახი, რა «ხალხია» ის ხალხი, რომელიც ოჯახს სწვავს საქართველოში ემიგრანტ დამნაშავის შურის-საძიებლად, რომელმაც დანაშაული აქ ჩაიდინა? ან როგორ მოეკითხება ოჯახს მისი წევრის ცოდვა? «ხალხს» რომელიც ასეთ რამეს სჩადის, ან ბარბაროსია, ან სხვის მიერ განზრახებული! ჩვენი ხალხი არ არის ბარბაროსი, მაშასადამე ჭანუყვამის ოჯახის გადამწველები განზრახებულნი იყვნენ. და ვისგან? რასაკვირველია რამიშვილის მეგობართაგან, ე.ი. მენშევიკებისაგან! მაგრამ ვინ დაუბრუნდა ძველ ბარბაროსობას და პირადი პასუხის-მგებლობა ადამიანისა აღარა სწამს, არამედ შურის-ძიების პრინციპზედ აგებ სამართალი—დამნაშავის ნათესავთა «ოჯახს» სთხოვს პასუხს?—ბოლშევიკმა და ის «ხალხიც» და მისი წამქეზებლიც, ჭანუყვამის ოჯახი რომ გადაწვეს, ბოლშევიკები არიან თვისი სულითა და მეთოდით, და რა სხვა სახელიც არ უნდა უწოდონ თავიანთ თავს, ჩვენთვის არ არის განსხვავება მათსა და ბოლშევიკებს შორის!—ხოლო თუ ეს ამბავი ტყუილია და ლევილში შეთხზული, თანხმად მათი საერთო სამოქმედო გეგმისა, (რაიცა ქართველი ერის საბედნიეროდ ჭკუასთან ახლოა), მაშინ ერთი ვკითხოთ ამ გრძენთა ბრძენთ, რა სასახელოა ბარბაროსობის საქვეყნოდ ქადილი, ისიც უცხოთა წინაშე, ან რამიშვილს რა ერგება ამით, ან ჭანუყვამეს რა ევნება, რა ჭკუაა საკუთარი თავის ბოლშევიკად გამოცხადება?!

ჭანუყვამის «ბოლშევიკობა» ვერც გამოძიებამ დაამტკიცა, არც პროცესზედ იქმნა ნათელყოფილი. მენშევიკების ცრუ-მოწმებიც მეისვე დაიჭირეს სიცრუეში, განსაკუთრებით ერთი ცრუ-მოწმობა ძალიან ცუდად გათავდებოდა და მიიმართებოდა თვით მათ წინააღმდეგ, რომელთაც პარიზი ოზურგეთი ან ზესტაფონი ჰგონიათ და მუქარითა და მოტყუებით ჰფიქრობენ მოწმებს ტყუილი ალაპარაკონ სასამართლოს წინაშე, რომ დაინტერესებული მხარე საქმეს გამოსთხოვოდა. თვით მათი ვექილის მჭერმეტყველებამაც ვერ დაამტკიცა ჭანუყვამის ბოლშევიკობა—ეს მხოლოდ ჩემი რწმენააო განაცხადა მან. არც პროკურორს გამოუთქვამს ეჭვი დამნაშავის ბოლშევიკების მიერ მოსყიდვისა და სხვა ამ გვარი რამ. და ჭანუყვამესაც კაცის კლვისათვის მიუსაჯეს ის სასჯელი, რომელიც ნაფიც-მსაჯულთ მისთვის ღირსად სცნეს. ხოლო მენშევიკების სამართალი ზედ-მეტ ცოდვათა დამნაშავის ზურგზედ აკიდებისა, სამართალი ცილის-წამებისა არ გავიდა და აქ ისინი სასტიკად დამარცხდენ. მაგრამ მათ ვერც კი გაიგეს თავიანთი დამარცხება და თავს გამარჯვებულად სთვლიან. ნაფიცთა მიიქმა მოთქმა—აღარ გვინდა ქართველ მოწმეთა მოსმენაო—და მოწმენი კი ყველა მენშევიკთა მხარისანი იყვნენ—მენშევიკებმა სხვაფრივ, თავიანთ სასარგებლოდ გაიგეს, თითქოს ამ მოწმეთა ჩვენებანი საკმარისნი იყვნენ საქმის გამოსარკვევად! ნამდვილად კი ნაფიცთ მოსწყინდათ ტყუილები ქართველ ცრუ და მიდვომით მოლაპარაკე მოწმეთა! დიახ, ეს იყო ამ პროცესში მენშევიკების «გამარჯვება», მაგრამ ქართველის სახელის, ქართველი ზნეობრივი სახისა და ღირსების დამცირება უცხო საზოგადოების წინაშე, თავის მოჭრა ჩვენი, რასაც მენშევიკი ვერა ჰხედავს, ვერცა გრძნობს და არც დაგიდევს!

და რა ყიჟინი ასტეხეს მენშევიკებმა გამარჯვებისა პროცესის შემდეგ! «ბრძოლის ხმა» (ნომ.18 ნოემბერი 1931) აღნიშნავს სიხარულით, რომ საფრანგეთის სასამართლომ გაამართლა მკვლელი ყორესისა, პეტლურასი, ვეშაპელისა და სხვათა, ხოლო დასაჯა მკვლელი რამიშვილისაო. ეს გაფრთხილებაა მათი, ვინც ქართულ საქმეს ღალატობს. პროცესმა ჩვენი პოლიტიკა გაამართლაო და სხვ., და ეს სულ რამიშვილის წყალობით, რომლის თავის დადებამ და სპეტაკმა პიროვნებამ მოხიბლა საზოგადოება და ჩვენი საქმის სიწმინდეში დაარწმუნაო·—პროცესის კვირა იყო მთელი პრესისათვის საქართველოს კვირა. ჩვენ გვშინჯავდენ ყოველი მხრით: პოლიტიკურად, პიროვნულად, ზნეობრივად, კულტურულად. ამ დიდ საჯარო გამოცდაში «ეგზამენი» დავიჭირეთ რამიშვილის წყალობით და სხვ.—კედია მოღალატეა საქართველოსი, რათგან მოწმად გამოსვლა მოინდობა. კედია ვერც კი გამოვიდა მოწმად, რათგანაც ჭანუყვამის ვექილმა ვერ გაბედა მისი მოწმად დასახელება, რათგანაც ამ შემთხვევაში გვაზავასაც დაეკითხებოდა გვაზავას აჩრდილით შეშინებულმა ვექილმა აღარ მოისურვა კედიას მოწმობა, რომელიც პარტიიდგან ვამორიცხვა ყალბი ჩერვონცების ნაშენები და სხვა მის დოსიეს ეხებოდაო, ქერქაძეს კედიას კაცმა უბრძანა საელჩო დაებეზღეთ, საელჩო კი მოსკოვს ებრძვის, მაშასადამე ამით მტკიცდება აშკარად კედიასი და მისი კაცების ნათესაობა ბოლშევიკებთან. «პროცესმა საბოლოოდ გამოარკვია, რომ კედიას ამქარი დგას მებრძოლი საქართველოს პირდაპირ ხაზზე. ისინი მფარველობენ ბოლშევიკებს, რამიშვილის მკვლელს. დაკარგული აქვსთ პოლიტიკური რიგიანობის ყველა წესები. ამათგან სასტიკი გამიჯვნა, მათი სამარცხვინო ბოძზე გაკვრა უნდა მოხდეს დაუყონებლივ მთელ ფრონტზე, როგორც აქ, უცხოეთში, ისე იქ, საქართველოში. საქართველოს პოლიტიკური ოჯახში მათ ადგილი არა აქვსთ»-ო, ასე თავდება «ბრძოლის ხმის» ტრიუმფი, ყიჟინა, რომელსაც ეწოდება «რა გამოირკვა». მაგრამ პროცესზედ მენშევიკების სიყალბისა და ცრუ-მოწმოების მეტი არა გამორკვეულა რა, და რომ პროცესს პოლიტიკური ხასიათი მისცემოდა, უცხოთათვის გამოირკვეოდა ის, რაც ჩვენთვის გამორკვეულია დიდი ხნითგან. მათ მიერ საქართველოში ჩადენილნი საქმენი, ტერორი, რომლითაც იგინი საქართველოს ანადგურებდენ დღითგან მათი გაჩენისა, მათი წინამძღოლთა ნამდვილი ბუნება, ის ატმოსფერა, რომელიც მათ მიერ შეიქმნა საქართველოში და აქაც იქმნა გადმოტანილი, რომელშიაც იყო აღზრდილი თვით მენშევიკი ჭანუყვამე. თვით რამიშვილი შეიქმნა მსხვერპლი მისი პარტიის მიერ მიღებულ პოლიტიკურ ბრძოლის საშუალებათა· აი რა გამოირკვა პროცესზედ და სწორედ ამ «გამორკვევის» ეშინოდათ მენშევიკებს და რათგანაც სპირიდონ კედიასაგან მოელოდენ მართალ ჩვენებას, რომ იგი გამოსულიყო მოწმად, მაზედ იყრიან ახლა თავიანთი ბოროტი გულის ჯავრს. ბოლშევიკად, სამშობლოს მტრადა სახავენ მას და მთელს საზოგადოებას, მთელს საქართველოს ამხედრებენ მის წინააღმდეგ.—უპატრონო ჭანუკვამის დამცველად შეუფერებელი ვექილი გამოვიდა, პროცესს პოლიტიკური ხასიათი არ მიეცა, ამიტომაც ვერც სპ. კედიამ და ვერც სხვამ, ვისი მოვალეობაც იყო სასამართლოს წინაშე სიმართლის თქმა, ვერ სთქვეს ეს სიმართლე. მაგრამ ვინც არ უნდა იყოს ტორესი, არავის არა აქვს უფლება ისეთი უსირცხვილო უდიერობით მოეპყრას სპ. კედიას, მთელ საქართველოში ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწესა და პატრიოტს უკადრისი ჰკადროს მხოლოდ იმიტომ, რომ მან მოისურვა თვისი მოქალაქეობრივი მოვალეობა აღესრულებია და სიმართლე ეთქვა სასამართლოსათვის ფიცქვეშ, როგორც მოწამეს.

«დამოუკიდებელი საქართველოს» (ნომ. 71, ნოემბერი 1931 წ.) მოწინავე წერილიც, მსგავსად «ბრძოლის ხმისა», დიდი შესხმის შემდეგ განსვენებული რამიშვილისა, რომელსაც ალბათ წერილის ავტორი თვით სთვლიდა ბოროტების ჭურჭლად, რასაკვირველია აგრეთვე «მტერზედ» ლაპარაკობს და სპ. კედიას სწამებს, რომ იგი ბოლშევიკების საქმის დამცველად უნდა გამოსულიყო, რომ მას სურდა ბოლშევიკების აგენტი ჭანუყვამე დაეცვა, რომ ტორესის შთამაგონებელი ის იყო და სხვ.. მეორე მოწმეც რასაკვირველია მტრად და შეჩვენების ღირსად გამოჰყავთ, რათგანაც მან განაცხადა მოსკოვი არაფერ შუაშია რამიშვილის მკვლელობაშიო, და საელჩო დააბეზღა, რომ იგია პასუხის მგებელი და სხვ. და აფრქვევს რას ქრისტეს სისხლი «მტერთა» შესამუსრავად-ასხამს რა ქება-დიდებას ქართველ ერს, რათგან საქართველომ მრავი ერის სახელი მოიხვეჭა მოკლე ხანში (რასაკვირველია მისი შესანიშნავი და ბრძენი მთავრობის მოქმედებით!) გამარჯვების ყიჟინასა სცემს იგიც და მოუწოდებს ქართველობას მთლიანობისაკენ შინ და გარედ: «ერთი ფრონტი, ერთი სიტყვა, ერთი საქმე». «ასეთ სიმაგრეს მტერი უმალ ტვინს შეაქცევს, ვინემ გაიმარჯვოს. ის ვერ გამოსახავს ჩვენ რიგებში მოღალატეს, ვერ გაბედავს დაქირავებული ხელით მკვლელობის მოხდენასო». «ჩვენ უნდა ვერიდოთ ეგრედ წოდებულ მაკედონურ მეთოდებს პოლიტიკურ ბრძოლაშიო» და სხვ.—მაგრამ ვიცით ეგ ფრონტიც, მენშევიკური თვალთ-მაქცობაა, მათი «ტაქტიკა» «შინ და გარედ», რომელიც არც ერთს მის წევრს არა სწამს! ვიცით ეგ სიტყვაც-რომელიც მუდამ ყალბია და ეგ საქმეც, რომელსაც თერთმეტი წლის განმავლობაში ვნების მეტი რა მოუტანია რა სამშობლოსათვის! «დაქირავებული მკვლელობა» ცილის წამებაა ჭანუკვამისა, მოსკოვი მართლაც არაფერ შუაშია აქ, ე.ი. ცილის წამებაა კედიასი და იმ მეორე მოწმისა, რომლებსაც მათ ბოლშევიკებთან ერთობასა სწამებენ! და დიახ ასეთი ცილის წამებათა და ასეთი «საქმეებით» იქმნება ის მაკედონური მეთოდი ბრძოლისა, რომელსაც «დამ. საქ.» ჰგმობს და რომელსაც სწორედ მისი სულის ჩამდგმელები სჩადიან. ხოლო რაც შეეხება საელჩოს «დაბეზღებას», ამაზედ სჯობია გაჩუმდენ და საქართველოს ტყეში გაკარდნილთა მეთოდებით ქერქაძის მსგავს მოწმეთა გამოყვანა ევროპის სასამართლოთა წინაშე ერიდონ, რათგანაც საფრანგეთის თვით პოლიციელმა მოწმეებმა «გამოარკვიეს», თუ რა ჩაადენიეს ქერქაძეს და რა ჩაიდინა თვით მან. აქ საელჩოს ბრალი არაფერია, მაგრამ, ვისი მოვალეობაც არის, ის ფრთხილად უნდა იყოს, რომ საელჩოში მხოლოდ საელჩოს საქმეები კეთდებოდესო!

დიახ, ეს პროცესიც დამახასიათებელია მენშევიკების უცვლელი მორალისა, მოქმედების წესისა, სულის-კვეთებისა მაგრამ ჩვენ ვალია ვამხილოთ, ვაგრძნობიოთ, რომ ვიცით: ყოველივე მათი ზარგი ვერ მოგვატყუებენ, და ვუთხრათ გვესმის, რას ნიშნავს თქვენი სიტყვები. საფრანგეთის სასამართლომ ყორესისა, პეტლურისა და ვეშაპელის მკვლელები გაამართლა და რამიშვილისა კი დასაჯა, ეს გაფრთხილებაა ქართველ მოღალატეთაო. მაშ ყორესი და პეტლურა მოსაკლავი ხალხი ყოფილა, «მოღალატენი» ყოფილან, ვეშაპელის მსგავსნი.—თუ რად გაამართლეს ყორესისა და პეტლურის მკვლელნი, ამას თვისი მიზეზები ჰქონდა, რომელზედაც აქ უხერხულია ლაპარაკი, ვეშაპელის მკვლელის გამართლებასთან იმ გამართლებათ არავითარი მსგავსება არა აქვსთ. ხოლო რამიშვილის მკვლელი დასაჯეს, როგორც კაცის მკვლელი,—პროცესმა არ მიიღო პოლიტიკური ხასიათი. და ნუ სარგებლობთ ამ მოვლენათა (განძრახ!) გაუგებრობით და ტერორის ნიადაგს ნუ ჰქმნით, ნურც აქ ნურც საქართველოში, ნუ იმუქრებით! სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკ-მენშევიკურმა ტერორმა მთელი ერები იმსხვერპლა და საქართველოს კი ყველაზედ მეტი ვნება მიაყენა. კმარა! ჩვენ ტერორისტები არა ვართ, ტერორი თქვენი საქმე იყო და ჭანუყვამის პროცესიც ერთი შედეგია თქვენ მიერ შექმნილი ტერორიზმისა. ჩვენ ტერორისტებს არ ვიცავთ ხოლო მათ წინააღმდეგ კი იძულებულნი ვიქნებით თავი დავიცვათ—აქაც და საქართველოშიაც! თქვენ შორის არიან ისეთნი ბოროტნი გულითა და რეგვენნი თავითა, რომელთაც უხარიათ საქართველოს «თავად-აზნაურთა» და «რეაქციონერთა» ამოწყვეტა ბოლშევიკების მიერ—ჩვენ საქმეს აკეთებენო, რომ ჩავალთ, მოწინააღმდეგე აღარ გვეყოლებაო, და ზოგი ვერც ფარავს ამ სიხარულს. თქვენ აქეთგანვე გინდათ ცილის-წამებათა და მართლაც მაკედონური მეთოდებით ბრძოლისა, რაც დარჩა ქართველთა შორის მენშევიზმის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ელემენტები, ისიც მოსპოთ,—მოსპოთ აქ და მოასპობიოთ საქართველოში,-მაგრამ ეს თქვენის გულის წადილი ყველამ იცის, სხვებიც ფრთხილად არიან, არ დაეცალოებად ბოლშევიკებთან ერთად დაწყებული საქმე და მერე ცალ-ცალკე ნაწარმოები, საბოლოოდ თქვენ დაასრულოთ! თქვენც ისევე ხართ განწირულნი, როგორც ბოლშევიკები, როგორც ყოველი პარტია დიქტატურისა, და ტერორისა.

ნუ თვალთ-მაქცობთ და ნუ იფარებთ ფარად ეროვნულ მთავრობას, რომლის ირგვლივ უნდა იყოს შეკრებილი ქართველობა აქ ეროვნული საქმის გასაკეთებლად, და საელჩოსი ერთად-ერთი უცხოეთში იურიდიულად ცნობილ საქართველოს «ხელუხლებელ ნაკვეთს», რომელსაც მხოლოდ მოსკოვი ებრძვის და სხვ..—არავინ არ არის წინააღმდეგი არც მთავრობის არსებობისა და არც საელჩოსი. პირიქით, დედამიწის ზურგზედ არ არსებობს ისეთი რეგვენი ერი, რომელსაც ამდენი სიგლახე, უნიჭობა, კრიმინალობა და უსინიდისობა მიეტევებინოს თავისი მთავრობისათვის ამდენი ხნის განმავლობაში. სწორედ მსგავსად ბოლშევიკთა, რომელნიც მათი მთავრობის ცოდვებს მაშინვე კომინტერნს, მესამე ინტერნაციონალს გადააკრალებენ ხოლმე—რუსეთის მთავრობა სულ სხვა არისო—ისე ყოველი უმსგავსოება, ჩვენი მთავრობის მიერ ჩადენილი, სოც.-დემ. პარტიის ბრალდება, თითქოს განუყოფელი არ იყოს რუსეთის მთავრობა ბოლშევიკების პარტიისაგან, და საქართველოს «გამოხიზნული» მთავრობა მენშევიკების პარტიისაგან! საელჩოს მოსპობაც არავის სწადია, არამედ ისეთი საელჩო, რომ იქ ყოველი ქართველი პოულობდეს მართლაც საქართველოს «ნაკვეთს»—შველას, დახმარებას, დაცვას. დიახ, საელჩოს მოვალეობაა დაცვა საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ღირსებისა, თუ იგი არ არის მენშევიკური დაწესებულება მსგავსად პოლპრედობისა, ბოლშევიკურ დაწესებულებათა უცხოეთში! აი რას მოვსთხოვთ საელჩოს!

მოღალატედ, ბოლშევიკად გამოცხადება ქართველ პატრიოტთა მხოლოდ იმიტომ, რომ იგინი არ ემსახურებიან მთავრობას, ე.ი. მენშევიზმს და «ფრონტს», ე.ი. მენშევიკურ თვალთ-მაქცობას-, არ გაგივათ, რათგანაც იმ პატრიოტთაც იცნობენ და თქვენც. მათ სახელს ვერ გაუტეხთ მხოლოდ ფანატიკოს შეუგნებლებს აამხედრებთ მათ წინააღმდეგ და რაც მოხდება—ამის პასუხს მხოლოდ თქვენ აგებთ.

და საკვირველია რომ მენშევიკები სწამებდენ ვისმე ბოლშევიკობას. მსოფლიოს მხედველობით, სულით, მეთოდით მოქმედობისა. ერთნი იყვნენ, არიან და იქმნებიან ბოლშევიკები და მათგან განაყოფნი ძმანი მენშევიკები. ასა სჩანს ჩვენი მენშევიკების ნაწერებითგან, მოქმედებითგან. «ბრძოლის ხმის» რედაქცია (N19, დეკ. 1931) გვაცნობს: საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრ. კომიტეტმა დაადგინა: «ბრძოლის ხმა» გამოცხადდეს ცენტრალურ ორგანოდ საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, წარწერით: «პროლეტარებო ყველა ქვეყნის შეერთდით»-ო. «ბრძოლის ხმას» მართლაც ეს წარწერა აქვს კვლავ და ამაყობს იგი პარტიის ამ დადგენილებით. მაგრამ ბოლშევიკებსაც ეს უწერიათ თავიანთ დროშაზედ, მეორესა და მესამე ინტერნაციონალსაც. საქართველოს პროლეტარიატი და მისი წინამძღოლი მენშევიკები უნდა შეუერთდენ ყველა ქვეყნის პროლეტარიატს და მის პარტიებს—ინტერნაციონალურ სოც. პარტიებს,—მაშასადამე რუსის პროლეტარიატსაც, მის პარტიებსაც საბოლოოდ რუს. მენშევიკსაც და ბოლშევიკსაც. ეს არის მათი ბუნებრივი გზა, და რაც მალე იქნება განვლილი ეს გზა, რაც მალე მოხდება ეს შეერთება, მით უკეთესია ჩვენთვისაც და ჩვენი ქვეყნისთვისაც. რათგანაც მენშევიკურ-პატრიოტულ უცნაურობათაგან განწმენდილ ატმოსფეროში ნამდვილ ეროვნულ ელემენტთათვის უფრო ადვილი იქნება ბრძოლა ამ მართლაც ბოროტისაგან დაუცხრომელთა წინააღმდეგ როგორც აქ ისე საქართველოში.

მ. წერეთელი

## ქართველ-კათოლიკეთა საკითხისათვის 1)

ქართველ კათოლიკეთა ხანგრძლივი ისტორია, თავისი ღირს-შესანიშნავი შინაარსით, ერთ უშვენიერეს ფურცელთაგანს ავსებს მსოფლიო კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში.

ქართველ კათოლიკეთა ურთიერთობა ერის შემადგენელ ნაწილებთან, სხვა ერთა შორის მომხდარ ამბებთან შედარებით, უმაგალითო ტრადიციის ნიმუშს წარმოადგენს.

მე-19-ე საუკუნის დასაწყისში ქართველი ერის სუვერენობის დაკარგვასთან ქართველ მართლმადიდებელთა ეკლესიის ავტოკეფალია ცეცხლითა და მახვილით მოსპეს რუსეთის მესვეურებმა და საქართველოს ეკლესია რუსეთის სინოდს დაუმორჩილეს; ხოლო ქართველ-კათოლიკეთა საქმე კიდევ უფრო ტრაგიკული იყო.

დიდმა ნაწილმა ქართველ კათოლიკეთა, რომელიც მოსახლეობდა სამცხე-საათაბაგოში და რომელიც ადრევე თურქთის ორბიტში მოექცა, სარწმუნოების დაკარგვის შიშით დაჰკარგა საკუთარი ეროვნული საღვთო მსახურების წესები და მათ ძალით მიაღებინეს სომხური ტიპიკონი იქ სადაც თურქები გატოროგდენ,

მე-19-ე საუკუნის პირველ მეოთხედში უკანასკნელად მისწყდა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზედ. მოკვდა უკანასკნელი მღვდელი ქართული ტიპიკონის. უკანასკნელ ქართველ მოწესე დიაკონს ქართული წიგნები თავზედ გადაახიეს და იგი, ჭკუაზედ შეშლილი, გაჭრილი გუნების წიაღში, გახდა მსხვერპლი ტყის ნადირთა.

70 წლის ბრძოლის შემდეგ მისი უწმინდესობის რომის პაპის მოწყალებით დღეს საქართველოში ბოლშევიკებისგან შექმნილ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც კი კვლავ გაისმა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში მშობლიური ხმა.

მიუხედავად დღეს ბოლშევიზმის სახით რუსეთის მიერ საქართველოს განმეორებით დაპყრობისა, ქართველ ერმა და მისმა ეკლესიებმა საუკუნით დაგროვებული უკმაყოფილება საჯაროდ აღიარეს და რუსეთს სავსებით გამოთიშვნენ.

რ უ ს ე თ - ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  შ ო რ ი ს  რ ო გ ო რ ც  პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ, ი ს ე  ს ა ე კ ლ ე ს ი ო  ს ფ ე რ ო შ ი  უ დ ი დ ე ს ი  უ ფ ს კ რ უ ლ ი ა.

ჩვენ, დაინტერესებული, ჩავუკვირდით ქართველთა საეკლესიო საკითხებს საქართველოში და აქ, ევროპაში.

მრავალ სხვა საკითხთა შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო უკანასკნელად ერთმა ჩვენთვის ფრიად გაუგებარმა მოვლენამ, რომლის აღნიშვნა ჩვენი გულწრფელი შეხედულობით იქნებოდა სასარგებლო ქ ა რ თ ვ ე ლ  კ ა თ ო ლ ი კ ე თ ა  მ ო მ ა ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს და საყოველთაო კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობისათვის აღმოსავლეთის ერთა შორის,

აღმოსავლეთის ერების კათოლიკეთა საკითხი ყოველთვის კათოლიკური ეკლესიის უზენაესი გამგებლობის აღმოსავლეთის სექციის «პ რ ო პ ა გ ა ნ დ ი ს» საგანს შეადგენდა.

რამდენიმე წლის წინედ კულტურულ კაცობრიობაში გამოსახილი ეპოქა რუსეთში შექმნილმა უბედურობამ და სიმშილობამ. ცხადია, ამ დიდ საქველმოქმედო საქმეს რ ო მ ი ვერ ჩამორჩებოდა და დიდი დახმარება გაიღო. იმ კომისიის დაბრუნების შემდეგ, რომელიც მან გაგზავნა დახმარებისათვის, დაარსდა რუსეთის საეკლესიო საკითხებისათვის ცალკე დაწესებულება «La Comission Pontificale Pro Russia»

რამდენადაც ჩვენ ცნობები გვაქვს, დღეს ქ ა რ თ უ ლ ი  ს ა კ ი თ ხ ი ც ამ კომისიას ექვემდებარება, ხოლო მოსალოდნელი კი იყო, რომ იგი უნდა დაქვემდებარებოდა აღმოსავლეთის ერთა კათოლიკეთა: ბერძენთა, ქალდეველთა, კოპტთა სომეხთა და სხვ. კომისიას და არა რუსულს.

მაგრამ დღეს კავკასიაში და კერძოდ საქართველო-რუსეთის შორის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი უფსკრულის ზრდის დროს რამდენად ხელსაყრელი იქნება კათოლიციზმისათვის ქართველ კათოლიკეთა საკითხის რუსთა კომისიისადმი დაქვემდებარება...

თუ რუსეთის საეკლესიო საკითხები, რომელიც ბიზანტიურია, გამოყოფილ იქმნა აღმოსავლურ კომისიისგან, რად დაუკავშირეს ქართული საეკლესიო საკითხი რუსეთისას იმ დროს, როდესაც ქართული საკითხის ბერძნულთან და სხვა აღმოსავლეთის ერთა საკითხებთან დარჩენა ნორმალური და სრულიად სასარგებლო იქნებოდა, რასაც აქვს აგრეთვე ისტორიული და ფსიქოლოგიური საფუძველი. ხოლო რუსეთის და რუსულ სლავიანური თვალსაზრისით მიდგომა ქართულ საკითხებთან გაუგებარია და მეტსაც ვიტყვით, ფრიად საზიანო, რათგან ქართველ ერს რუს-სლავიანებთან რაიმე ფსიქოლოგიური კავშირი აროდეს არ ჰქონია და დღეს პოლიტიკურადაც დაპირისპირებულია მათთან.

ალ. მანველიშვილი.

1) ამ საკითხს უფრო ვრცლად ეროვნულ-ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ ცალკე წერილებში.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

### „ღალატის“ დადგმა პარიზში

ემიგრანტულმა ცხოვრებამ მაიძულა მიმეტოვებინა პარიზის მხიარული ქუჩები და მომეძებნა მყუდრო პროვინცია. „თეთრი გიორგის“ ფურცლებითგან ვიგებდი ხოლმე, რომ ჩვენი საზოგადოება ნელ-ნელა დაადგა გამოღვიძების გზას. განახლდა პარიზში „შევარდენი“, დაარსდა ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება, რომელიც მართავს საღამოებს, ეხმარება დაავადმყოფებულ ახალგაზრდებს შეძლებისა დაგვარად. შემდეგ ქართული ეკლესია ჩაისახა პარიზში. და ბოლოს უკვე ქართული დრამატიული დასი დაარსდა და მისი დებიუტი იყო „პატარა კახი“. უზომო კმაყოფილება განვიცადე ყველა ამით.

უფრო გვიან იმავე „თ.გ-ის“ ფურცლებითგან ამოვიკითხე შემდეგი: ახლო მომავალში ამ დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება 5-მოქედებიანი ისტორიული დრამა სუმბათაშვილისა «ღალატი». არა ჩვეულებრივმა გრძნობამ და ერთგვარმა უცნაურმა სიხარულმა შემიპყრო. უამრავნი მოგონებანი მომაწვენ, გარდამეშალა თვალ-წინ ტკბილი და იმავე დროს მწარედ მოსაგონებელი წარსული. საქართველო, თბილისი, ზუბალაშვილის სახელობის თეატრი, დრამატიული თეატრი, სახელმწიფო თეატრი. გამახსენდა ყოველივე ამათგანში დადგმული ეს დიდი და უკვდავი პიესა იმ დიდი პიროვნებისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა ცივს რუსეთში, სადაც სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულმა თავისი გაატანინა: მიუხედავად ქართული ენის უცოდინარობისა მან დასწერა ეს დიდი და ფრიად მნიშვნელოვანი დრამა უცხო ენაზედ.

წარმომიდგენ თვალ-წინ სახეები ჩვენი სახელოვანი მსახიობების, რომელთაგან მრავალნი აწ-განსვენებულნი არიან და დღეს მხოლოდ მათი სახელები-ღა ამშვენებენ ქართულ თეატრს. ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, მარიამ საფაროვ-აბაშიძესა, ნატალია გაბუნია, ვალერიან გუნია, იმედაშვილი, ვასო სარაჯიშვილი და სხვანი მრავალნი. მინახავს „ღალატი“ დადგმული სახალხო სახლში და დრამატიულ თეატრში, მაგრამ მაშინ პატარა ვიყავი და მეხსიერება ძლალატობს ამის კარგა მოსაგონებლად. მაგრამ მახსოვს „ღალატი“ დადგმული სახელმწიფო თეატრში როგორც ოპერა, რომელიც რამდენჯერმე მაქვს ნახული. ეს იყო საქართველოს დამოუკიდებელობის დროს. თუმცა მუსიკა არის ვიღაც უცხოელისა, მაგრამ როგორც სჩანს ეს ადამიანი საქართველოში დიდხანს ყოფილა, რის გამოც მშვენივრად ჰქონია შეთვისებული ქართული მუსიკა. კარგი და საკმარისად მგრძნობიარე მუსიკაა, რომელიც მლიერი და დიდი ხელოვნებით მიჰყავს თავითგან ბოლომდე. მშვენიერი სანახავი იყო განსვენებული ვასო სარაჯიშვილი, რომელიც ასრულებდა ირაკლის როლს, თვალ-წინ წარმიდგა იგი ხაცრის ფერი ჩოხით, ოთარ-ბეგის წინ დათოსთან ერთად გამოჭიმული. და აი ამ კარგი ოცნებებით «ვეწვიე» პარიზის «ღალატს» დადგმის დღეს.

საღამოს 8 საათზედ ალ' ერტ 1-ის სახელობის თეატრში აიხადა ფარდა და გამოჩნდა სულეიმანხანის სასახლე თბილისში, მოხატული წმინდა აღმოსავლეთის გემოვნებაზედ. ერთი მხარე გადაჰყურებდა მტკვარს, რომლის მეორე მხარეზედ მოსჩანდა ისტორიის მუნჯი მოწამე მეტეხი, რომლის გუმბათს ჩვეულებრივ ქრისტიანული ჯვარი ვეღარ ამშვენებდა. ეს ყველა მოწყობილობა, საერთოდ დეკორაციები სასახლისა იყო აჩრდილი იმ მოწყობილობისა, რომელიც მე საქართველოში მინახავს, მაგრამ აქ დღეს ან ეს როგორ შეხძლებს? ამისთანა აუტანელ პირობებში ესეც დიდი გასაკვირველია.

სულეიმ-ხანს ახალგაზრდა ოთარ ჯავახიშვილი ასრულებდა, რომელსაც ტანისამოსი შედარებით სხვებთან უფრო შერჩეული ეცვა და სულეიმხანს ასე თუ ისე მაინც გამოხატავდა. თვით თამაშსაც არა-უშავდა რა, როგორც სცენის მოყვარე, საკმარისად იდგა თავის დონეზედ. ზეინაბის როლს ასრულებდა ელენე მამულაიშვილი, ქართული ტანთ-ჩაცმულობა სპარსული გემოვნებისა საკმარისად იყო შეწყობილი. ამშვენებდა გრძელი ნაწნავები, რაიცა ასე იშვიათია ჩვენ დროში. იგი თამაშობდა ღადებითად, მგარამ ცოტა სიცივე მტყობოდა დედობრივი გრძნობის გამოჩენის დროს ირაკლისთან. შვენივრად შეასრულა ოთარ-ბეგის როლი გატ. ხიზანიშვილმა. ნათლადა სჩანდა, რომ საქმე გქონდა უდავოდ პროფესიონალურ მოთამაშესთან. ხმა და თამაშის წესი მოგაგონებდათ იმედაშვილს. მდიდარი მიმიკით და ცოცხალი ბუნებით იყო შემკული რეჟისორის შერჩევა ამ შემთხვევაში მცდარი არ იყო. ხოლო გაიანეს სიცოცხლემ ხინაზემ და იმავე დროს გავშურ გულ-უბრყვილობამ საზოგადოება მოხიბლა არ შემიძლია არ აღვნიშნო კიდევ ქალთა წრითგან, ისახარი, რომელსაც ასრულებდა ქალბატონი ერისთავი. მსგავსი პიროვნების შერჩევა, მახსოვს, საქართველოშიც ძნელი იყო; კარგად თამაშოვდენ ირაკლისა და დათოს ახალგაზრდა გიორგი თუხარელი და ირაკლი ზალდასტანიშვილი. ტანისამოსის შეწყობა შვენიერი იყო. საერთოდ ირაკლი უფრო სუსტი იყო, ვიდრე დათო. ანანია გლახაშალიკო ნებიერიძე, იმავედროს რეჟისორი, შვენივრად ასრულებდა თავის როლს, მაგრამ მე პირადად კიდევ მეტს მოველოდი ამ პიროვნებისაგან. უნდა აღვნიშნოთ კიდევ ხაშა სულხანიშვილის თამაში ბესოს როლში. ეს იყო პირდაპირ უნაკლო რამ. კარგად ითამაშეს აგრეთვე ჟურულმა და ჯადურაშვილმა. დამაკმაყოფილებელი იყვნენ აგრეთვე მასიური სცენები.

ბ.შ. ნებიერიძე, როგორც ხელმძღვანელი ამ დასის, ღირსია მადლობის და ჩვენც ვუსურვებთ მეტის გაკეთებას.

მეორე დღეს, სიხარულით სავსე გული წავიღე პარიზითგან, მივაშურე ჩემს ძველს პროვინციას, სადაც მელოდა მგორგავი მანქანა: და გზად მიმავალს მებადებოდა სხვადიანი კითხვები: ნუ თუ შეიძლება მოკვდეს ის ერი, რომლის თავზედ წისქვილის ქვაც კი დატრიალებულა?! ნუ თუ დიდ ხანს იგმინავს ამირანი? და გულის სიღრმითგან მოისმოდა იმედის ხმა: «დრო მოვა და თავს აიხსნის, იმ ჯაჭვს კასწვეთს

გმირთა გმირი! სიხარულად შეგვცვლება ჩვენის ხნის გასაჭირი».

თამარის-ციხელი.

## ქ რ ო ნ ი კ ა

— ჟენევის უნივერსიტეტის სენატმა და კანტონის მთავრობამ დაამტკიცეს ღენერალი ლეო კერესელიძე პრივატ-დოცენტის კათედრაზედ და დაავალეს ლექციების კითხვა შემდეგ საგნებში: I. სამრთალთა კლასიფიკაცია და 2. კანტის და ლეიბნიცას ფილოსოფია სამართლის დარგში.

ამავე დროს ბ-ნი ლეო კერესელიძე ერთხმად არჩეულ იქმნა ჟენევის სოციოლოგიურ საზოგადოების წევრად.

— ამას წინად ღენერალმა ლეო კერესელიძემ, ქალაქ ჟენევაში. სამხრეთ ამერიკის რამდენიმე სახელმწიფოს დელეგაციის თხოვნით, ამ დელეგაციათა და მათ სამხედრო ატაშეთა წინაშე გააკეთა რამდენიმე მოხსენება სამხედრო საკითხებზე: 1. ჯარის კაცთა ინდივიდუალური დაწვრთნა; 2. პარტიზანული ომის სისტემა და ტექნიკა; 3. კავალერიის როლი მოძრაობის (ალლუმის) ომში და სხვა. რის შემდეგ ღენერალი ლეო კერესელიძე მიწვეულ იქმნა სამხრეთ ამერიკის ორი სახელმწიფოს მიერ მათი ჯარების ინსტრუქტორად. ღენ. კერესელიძემ დიდის მადლობით უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ იგი ვერ დაანებებს თავს თ. გიორგის პოლიტიკურ საქმიანობას.

ამ წელს, 10 აპრილს, $3^{1}/_{2}$ საათზედ

**პ ა რ ი ზ შ ი**

5, რიუ ლასკაზ (მეტრო სოლფერინო)

ალ. მანველიშვილის მიერ

**წაკითხულ იქმნება მოხსენება:**

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  კ უ ლ ტ უ რ უ ლ - ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი  ვ ი თ ა რ ე ბ ა

დ ა

ვ ე ფ ხ ი ს  ტ ყ ა ო ს ა ნ ი.“

საკითხები:

I. კულტურულ-მორალური ურთიერთობა საქართველოსი მეზობელ ერებთან: ჰელლადა-ბიზანტიის, სპარსეთის და არაბეთის კულტურული ორგანიზაცია. ისლამი. ჩინეთ-მონღოლეთის კულტურა. ქართული ეროვნული კულტურა. თქმულებანი. საქართველოს მორალური ვითარება. ქართული და ბიზანტიური სამართალი. რუსთაველის შემოქმედების ხასიათის პრობლემა. ხალხ. ვეფხის-ტყაოსანი, ვისრამიანი და სხ..

II. მიჯნურობის თეორია: მისი [illegible] ვეფხის ტყაოსანში. ანალიზი ადგილის: „ქალმან მისცა მარგალიტი სრულ ქმნა მისი ს[illegible] ავალიშვილის შეხედულების კრიტიკა. ავთანდილ-ტარიელის „მიჯნურობა“-მეგობრობის პრობლემა. ახსნა მსგავსი ადგილების: „მ ა ს  ღ ა მ ე ს ა  ე რ თ გ ა ნ  ი ყ ვ ნ ე ს  ი გ ი  ლ ო მ ნ ი  ი გ ი  გ მ ი რ ნ ი“. ვ. ტყ-ის ყველა გმირების ვითარებათა განხილვა ამ თვალსაზრისით. შოთას იდეალები და ბ. ავალიშვილის მიერ ახსნილი ვეფხის ტყაოსანის სინამდვილე.

დასკვნა.

პარიზი. 19-I 1932 წ.

პატივცემულო ბატონო რედაქტორო.

გთხოვთ კეთილ ინებოთ და მოათავსოთ თქვენი გაზეთის მომავალ ნომერში შემდეგი ცნობა: პარიზში დაარსდა, კერძო თაოსნობით, ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტი. ეს კომიტეტი იმყოფება ქართული ასოციაციის მფარველობის ქვეშ. შემადგენლობა ამ კომიტეტისა შემდეგია:

ქ.-ნები: ე. აფხაზისა, კოკესი, ჰელმისა და ე. მამულაიშვილის ასული, და ბ'ბ.: მამა გრიგოლ ფერაძე, პ. თუმანიშვილი, ა. ერისთავი, ივ. ჭავჭანიძე, ილ. დადეშქელიანი და ლ. ზურაბიშვილი.

კანდიდატები: ბ. ა. ასათიანი, ქ-ნი ბ. ერისთავის ასული და ბ. ლ. ხითარაშვილი.

ვთხოვთ ყველა უმუშევართ, პირადად გამოცხადდენ რეგისტრაციისათვის საანკეტო ფურცლის შესავსებლად: ლეგაციაში: (სადაც მათ დახვდებიან კომიტეტის წევრები) ორშაბათობით და ხუთშაბეთობით 5-ს-6-ს და პარასკეობით 5-ს-7-ს—ნაშუადღევისა; ან ქართულ სამკითხველოში: (5, ვილლა დ'ორლეან, მეტრო ალეზია) ყოველ საღამოს 8-ს-10-ს.

**მ ო წ ო დ ე ბ ა**

ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტისა

თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ნ ო!

მთელ მსოფლიოში გამეფებულმა ეკონომიურმა კრიზისმა და მისმა აუცილებელმა შედეგმა—უმუშევრობამ—საფრანგეთშიაც იჩინა თავი.

ეს საშინელი რისხვა სხვებთან ერთად თავს დაატყდა ქართველ ემიგრანტებსაც, რომლებიც ლტოლვილობის პირობებში შეეგუენ მიუჩვეველ მძიმე ფიზიკურ მუშაობას და დღემდე თავს ინახავდენ პატიოსანი შრომით. უკვე მრავალი ქართველი ემიგრანტი უმუშევრად არის დარჩენილი; უმუშევართა რიცხვი დღითი დღე იზრდება. მათი მდგომარეობა აუტანელია. გარდა იმისა რომ ისინი მოკლებულნი არიან ყოველდღიურ საარსებო ლუკმას, ბევრი მათგანი უბინოდაც დარჩა და იძულებული არიან ქუჩაში გაატარონ ზამთრის სუსხიანი ღამეები.

საჭიროა სწრაფი, დაუყოვნებლივი დახმარება, რომ სიმშილის და სიცივის საშინელ შედეგებიდან ვიხსნათ უმუშევრად და უსახსროდ დარჩენილი ჩვენი ძმები.

ასეთა დახმარების აღმოჩენის მიზნით საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციასთან დაარსდა უმუშევართა დამხმარე კომიტეტი. უკანასანელი მიმართავს ყველა ქართველ მამულიშვილს და დაბეჯითებით სთხოვს ყოველ თვიურად გაიღოს თავისი წვლილი უმუშევართა დასახმარებლად, სანამ კრიზისის განსაკუთრებული სიმწვავე განელდებოდეს.

კომიტეტს ღრმად სწამს, რომ მისი ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და ყოველი ქართველი, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სამუშაო და გააჩნია რაიმე სახსარი, დაუყოვნებლივ გადმოუგზავნის კომიტეტს თავის წვლილს

შემოწირულება, როგორც ფულის ისე სხვა საჭირო საგნების სახით უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Monsieur P. Toumanichvili
21, Rue La Fontaine, Paris (16e)

ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტის დავალებით:
მდივანი ლ. ზურაბიშვილი.

### შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს  გ ა ს წ ო რ ე ბ ა

თ-გ. ნომ. 47-ის წერილში „ცნობა ერთი ხან მეტი ტექსტის შესახებ“ მე-6-ე აბზაცში სწერია: „შანიძისათვის ადვილი ასახსნელი გახდა... ცნობა, რომელიც დართული აქვს მისი რედაქციით გამოცემულ ქართული სახარების ტექსტს“... უნდა იყოს: „...რომელიც დართული აქვს ქართული სახარების გიორგი მთაწმინდელის რედაქციით თარგმნილ ტექსტს“.

### ს ხ ვ ა  დ ა  ს ხ ვ ა  ა მ ბ ე ბ ი

—30 იანვარს ბერლინის ქართველობამ გადაიხადა თ-დ გრიგოლ დიასამიძის ორმოცი წლის მოღვაწეობის იუბილე. დღესასწაულს საზოგადოება ბლომად დაესწრო, სხვა და სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებმა და აგრეთვე ბ-ნი გრიგოლის პირადმა მეგობრებმა წარმოსთქვეს გრძნობიარე სიტყვები და აღნიშნეს იუბილიარის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე როგორც მწერლისა, საზოგადო მოღვაწისა, პატრიოტისა და მოქალაქისა.

ჩვენი ღარიბი ემიგრანტული მდგომარეობის შესაფერს სამახსოვრო მიართვეს იუბილიარს. ქართულმა მუსიკამ და სიმღერებმა და ძვირფასი იუბილიარის პატივის-ცემის გულწრფელმა სურვილმა რამოდენიმე წუთით მაინც დაივიწყა ბერლინის ქართველობის მძიმე ხვედრი.

Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne

Le Gérant : Félix KALDENBACH.